საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 20 0000750414

31/08/2020

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2018 წლის 20 ივნისის N72 საბჭოს გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

2.2 ცენტრის დირექტორის „შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ 2020 წლის 25 ივნისის MES 6 20 0000519923 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილია დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამ ისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 14 აგვისტოს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ასევე, ზეპირი მოსმენის სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის საფუძველზე საბჭომ ცნობად მიიღო ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
2.4. საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ გამოვლენილა საგანმანათლებლო პროგრამის რემელიმე სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, შესაბამისად აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8

მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად თორმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 31 აგვისტოს №750239 სხდომის ოქმის N6 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა